

„დამტკიცებულია“
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
2014 წლის „2“ ~~ანრილი~~ „50“ სხდომის
„ 3 “ დადგენილებით

მეცნიერების დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდეგში - უნივერსიტეტი) ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარ საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ეს დებულება განსაზღვრავს მეცნიერების დეპარტამენტის (შემდეგში - დეპარტამენტი) ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის ფუნქციები

1. დეპარტამენტი უნივერსიტეტის სამეცნიერო აქტივობის ინტენსიფიკაციისა და კოორდინაციის საფუძველზე უზრუნველყოფს უნივერსიტეტის დეპარტამენტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში წარმართული ფუნდამენტური თუ გამოყენებითი ხასიათის კვლევების ხელშეწყობას და განვითარებას.
2. დეპარტამენტი:
 - ა) უნივერსიტეტის მეცნიერებს უზრუნველყოფს საინფორმაციო რესურსებით, კერძოდ ინფორმაციით კონფერენციების, სემინარებისა და მოქმედი სამეცნიერო ფონდების შესახებ;



ბ) კონსულტაციებს უწევს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს მათ მიერ სამეცნიერო სამუშაოებისა თუ საპროექტო განაცხადების გაფორმებისა და წარდგენის საკითხებში;

გ) ახორციელებს მეცნიერების დეპარტამენტის კუთვნილი ვებ გვერდის მუდმივ განახლებას;

დ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტში გამოცემულ სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას და მისი ელექტრონული ვერსიის ვებ გვერდზე განლაგებას;

დ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ მეცნიერების ბაზური განვითარებისათვის გამოყოფილი თანხების განკარგვას მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბების საფუძველზე;

ე) ორგანიზაციას უკეთებს საუნივერსიტეტო სამეცნიერო-ტექნიკური, სამეცნიერო-მეთოდური და სხვა სახის კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას, გამოფენებისა და კონკურსების მოწყობას;

ვ) უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურებთან კავშირში, თანამშრომლობს საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებთან პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მობილობის გზით საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და სემინარებში, აგრეთვე ერთობლივ საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში მათი მონაწილეობისა და ერთობლივი სადოქტორო პროგრამების შესამუშავებლად.

ზ) კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა ფუნქციებს.

3. დეპარტამენტის საქმიანობა ეფუძნება კვლევაზე ორიენტირებული განათლების მიღების ხელშეწყობას და უზრუნველყოფს სტუდენტი-ახალგაზრდების სამეცნიერო აქტივობას.

3. დეპარტამენტის სტრუქტურა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.

2. დეპარტამენტში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.

3. დეპარტამენტის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი.

4. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.



4. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.

